საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-69. 69241344**
თარიღი:**13/05/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მოლითში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს/კ36.17.33.329; ს/კ 36.17.33.805;

და ს/კ 36.17.33.806) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით შპს ,,New Road"-სათვის 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ"ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მოლითში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები:

1.36.17.33.329 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2785 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 147 605 ლარი, რომლის თანახმად წლიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება შეადგენს 8856.3 ლარს.

2. 36.17.33.805 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1190 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 63 070 ლარი, რომლის თანახმად წლიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება შეადგენს 3154 ლარი.

3. 36.17.33.806 საკადასტრო საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 311 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 46 650 ლარი, რომლის თანახმად წლიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება შეადგენს 2799 ლარს, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით გადაცეს შპს ,,New Road"-ს 2025 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი